„ლოკომოტივის“ 4 ბურთი

5 დეკემბერს, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ ოსტატთა გუნდები.

მიუხედავად იმისა, რომ დინამოელთა შორის საკმაო რაოდენობით თამაშობდნენ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები (პეტრიაშვილი, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ხელაძე, მელაშვილი, გ. სიჭინავა, კალოევი, ბარქაია, დათუნაშვილი), გუნდმა ძალზე სუსტად, ქაოტურად ჩაატარა შეხვედრა. ერთადერთი, ვინც ნამდვილი სპორტული კეთილსინდისიერებით იბრძოდა კოლექტივში, ეს იყო ცენტრალური თავდამსხმელი კალოევი.

რაც შეეხებათ ლოკომოტიველებს, მათ საუკეთესო თამაში აჩვენეს. 4 „მშრალი“ ბურთი, რომელიც „ლოკომოტივმა“ გაიტანა, საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორის კარში, კომენტარებს არ საჭიროებს.

8 დეკემბერი, 1962 წ.